[illegible]

ყოველდღიური გაზეთი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები საერთო — დღისა 14—76, სტამბის — ღამისა — 79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა, 1 მაისი, 1921 წ.

№ 49 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 49

გაუმარჯოს შრომის ბრწყინვალე დღესასწაულს, გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს,

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას და მის ავანგარდს საბჭოთა რუსეთს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს კომუნიზმს.

აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურის ამხ. ნარიმანოვის და სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისრის ამხ. კარაევის ჩამოსვლა პირველ მაისის დღესასწაულზე დასასწრებლად.

პირველ მაისს დილის 10 საათზე თბილისის პროლეტარიატი და წითელი ლაშქარი შეეგებება ძმურ აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის მეთაურს ამხ. ნარიმანოვს.

ამხ. ნარიმანოვი გამოვა საღამოს 7 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენა—მიტინგზე.

მომავლისკენ

პირველი მაისი—ეს საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული, განსაკუთრებულ ელფერს ღებულობს დღეს საბჭოთა საქართველოში. ჩვენი მშრომელი ხალხი დღეს გამოდის არა როგორც სახელმწიფოს გარეშე მდგომი და წინააღმდეგი [illegible] ძალა, არამედ როგორც სახელმწიფო ძალა-უფლებით აღჭურვილი და მისი მედგარი დამცველი.

აქამდე თუ საჭირო იყო ძალების მო ება ძველი ბურჟუაზიული წყობილების დასანგრევათ, ახლა საჭიროა მთელი ლების მიმართვა ახალი კომუნისტური წყობილების დასამყარებლათ. ტარიატი და ულარიბესი გლეხობა გამოდის ასპარეზზე როგორც ქვეყნის ბატონ-პატრონი, მისი ერთი აღმშენებელი და საუკე თიმბალის საიმედო ყარაულები.

ქვეყნის ახალ პატრონს მეტად მომენტში უხდება თავისი შემოქმედითი უნარის გამოჩენა, ძველი პა მას სრულიად გაძარცვულ ერეობა ხვდა წილად, არავითარი ლათი და ამავე დროს წელში ალი უამრავი მოთხოვნილე ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ლეთ ის გაპარტახებული მიდამო დაჩქარებით უნდა მოეწყოს ახალი ცხოვრება.

დევანდელი პირველი მაისი უნ ქნეს შეგნებული გამომხატველი რომ ძველსა და ახალს შუა კავ სრულიად გაწყვეტილია, რომ საქართველო მოსწყდა ძველ დამ ულ ქვეყანას და არსებულ საბჭოთა რესპუბლიკათა გვერდით თვითაც ა ახალ სოციალისტურ ქვეყანაში, ორც სრულ-უფლებიანი წევ როგორც საბჭოთა საქართვე ს შეგნება კი დიდ მოვალეობას ებს ჩვენს მშრომელ ხალხს. მისი ტიკური ბატონობა, მისი დიქტა და შექმნეს დაუშრეტელი წყა ქვეყნის ეკონომიური აღორ მან უნდა მართოს სახელმწი დროს მოაწყოს ქვეყნის მისი პოლიტიკური ბატო ით უზრუნველ ყოფს, რომ ს ხალხს [illegible] მუქთა ვერ მიითვისებს, მაგრამ მან ვე უნ და უზრუნველ ყოს, რომ რაც შეიძლება ნაყოფიერად იქნეს გამოყენებული დახარჯული შრომა, რაც შეიძლება ბარაქიანად იქნეს ანაზღაურებული ხალხის ოფლი.

ორივე ეს მიზანი—პოლიტიკური ბა ნობის განმტკიცება და სახალხო მე ობის განვითარება—ერთგვარი სი დგას დღეს ჩვენს წინაშე და ული ჩვენი ძალების ამუშა მომენტი, მაგრამ საქართ ელი ხალხი, ძმურად ხელ ზნობილ ერთა პროლეტა ლახავს ყოველგვარ დაბ თავის წვლილს შეიტანს ში, რომელსაც „შრომის დღეს ჩვენს წინ შესაძლებლობა შეერთებული შრომის სასწაულებრივი შემოქმედებისა, დღეს ჩვენ თითქმის არარაისაგან უნდა შევქმნათ ის დიადი წყობილება, რომელსაც მხოლოდ შორიდან ვესალმებოდით პირველ მაისს. წრევანდელი პირველი მაისი პრაქტიკულად გვიყენებს წინ ჩვენს საოცნებო საგანს—სოციალიზმს და პირველ გამოცდას გვაძლევს [illegible].

სრული იმედი, რომ ღირსეულად შევასრულებთ დაკისრებულ მოვალეობას, ჩვენ აღფრთოვანებით ვეგებებით დღევანდელ პროლეტარულ დღესასწაულს და რწმენით აღვსილნი დავძახებთ:

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მისი ლოზუნგების განხორციელებას მთელ მსოფლიოში!

პირველი მაისი და კომუნისტური ინტერნაციონალი

პირველი მაისი—ეს პროლეტარიატის დღესასწაულია, დაწესებული მისი ინტერნაციონალური სოლიდარობის განსამტკიცებლათ, ამ სოლიდარობით თავის კლასიური მიზნების განსახორციელებლათ. პროლეტარიატის მოძრაობის ზრდასთან იზრდებოდა პირველი მაისი, მის საშინელ დამარცხებასთან განიცადა მანაც დამარცხება განსაკუთრებით მსოფლიო ომის დროს და მისივე რევოლიუციონური ბრძოლის აღორძინებასთან კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ღებულობს ის იმ ხასიათს, რომელიც მიკუთვნებული აქვს ამ დღესასწაულს თავის დანიშნულებით.

1888 წელს, ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე ქ. სან ლუიში დაადგინეს მოეწყოთ პირველათ 1890 წლის პირველ მაისს მუშათა მანიფესტაციები. პირველი ინტერნაციონალის გაუქმებიდან 16 წლის შემდეგ შეკრებილმა მეორე ინტერნაციონალის პირველმა კონგრესმა 1889 წლის ივლისში საფრანგეთის მუშათა სინდიკატების წინადადებით გადასწყვიტა დაენიშნათ კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელების ხელის შეწყობის მიზნით საერთაშორისო მუშათა მანიფესტაციების მოსაწყობათ ერთი დღე და, ვინაიდან ამერიკელების მიერ ასეთ დღეთ უკვე დანიშნული იყო 1890 წლის 1 მაისი, კონგრესიც შეჩერდა ამ დღეზე. პირველი პირველი მაისობა დაინიშნა ამნაირათ 1890 წლისათვის. როგორც ვთქვით მას ჰქონდა მიზნათ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნათა განხორციელებისთვის ხელის შეწყობა და ხანგრძლივი ბრძოლა შეიქნა საჭირო, რომ მას მისცემოდა ის სახეც კი, რომელიც ჰქონდა მეორე ინტერნაციონალის დროს.

იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მიიღო საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ მეოთხმოცე წლების მიწურულში, პროლეტარიატის კლასიური მტრები შიშითა და ძრწოლით მოელოდენ პირველი მაისის დღეს 1890 წელს. ევროპის სატახტო ქალაქებში ფეხზე დააყენეს მთელი შეიარაღებული სამხედრო ძალა. ამ დღეს უნდა მომხდარიყო პირველი მწყობრი შეთანხმებული გამოსვლა ევროპა ამერიკის მუშათა კლასის და ცხადია ეს გარემოება კარგ გუნებაზე ვერ დააყენებდა მის მძარცველებს.

„დღეს—სწერდა ენგელსი 1890 წლის მაისის პირველს—ევროპისა და ამერიკის მუშები თვალით ზომავენ გაფიცვებისთვის შეკრებილ თავის დარაზმულ ძალებს. ეს სანახაობა ცხადჰყოფს კაპიტალისტების და მემამულეებისთვის, რომ ამ ჟამათ პროლეტარიატი მართლა შეერთდა... რა ბედნიერება იქნებოდა, მარქსი მდგარიყო ჩემ გვერდით, რომ თავის თვალებით დაენახა ეს“ ო.

1891 წელს, მეორე ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე ბრიუსელში ცხარე კამათის შემდეგ უარყოფილ იქმნა ვალიანის წინადადება იმის შესახებ, რომ პირველი მაისის დღესასწაულისთვის მიეცათ ეკონომიურის გარდა პოლიტიკური, როგორც ის ამბობდა „სოციალისტური“ ხასიათი. მხოლოდ შემდეგ კონგრესზე, ციურიხში, 1893 წელს, მოხდა ეს. ვ. ადლერის მიერ კონგრესის სამაისო კომისიის სახელით წარმოდგენილ რეზოლიუციაში ამის შესახებ იყო ნათქვამი შემდეგი: „რვა საათის სამუშაო დღისათვის მოწყობილი პირველი მაისის მანიფესტაციამ უნდა გამოჰხატოს იმავე დროს მუშათა კლასის მტკიცე ნებისყოფა სოციალური რევოლიუციის საშუალებით კლასთა სხვადასხვაობის გაუქმების შესახებ და შემდეგ ერთად ერთ გზაზე რომელიც უზრუნველ ჰყოფს მშვიდობიანობას როგორც შიგნით ისე ერთა შორის“. [illegible] კონგრესის დასახასიათებლად აქვს აღნიშნოთ, რომ ერთ დელეგატის წინადადებით რეზოლიუციაში მოყვანილი სიტყვები „სოციალური რევოლიუცია“ შეცვლილ იქმნა სიტყვებით „სოციალური გარდაქმნა“. ამ ერთ სიტყვიან, მაგრამ უმნიშვნელოვანეს ცვლილებაში, გამოიხატა ის სულიერი განწყობილება, რომელიც დამახასიათებელი შეიქმნა შემდეგ მეორე ინტერნაციონალისათვის და მოამზადა მისი უმაგალითო სამარცხვინო დაცემა მსოფლიო ომის დროს. ეს იყო ნაციონალური ბურჟუაზიის შეგუება, არსებული ეკონომიური რეჟიმის გაუკეთესებით მისი შეკეთება შელამაზება და არა ძირ-ფესვიანათ ამოგდებით დაკმაყოფილება, დაკმაყოფილება მუშათა კლასის, რომელსაც ფიზიკურ და სულიერ გადაშენებისაკენ. ამ შეგუების, ოპორტიუნიზმის სულისკვეთებამ—პრაქტიკაში და მეცნიერული სოციალიზმის, მარქსიზმის, „კრიტიკულმა“ გადახედვა-შესწორებამ, „რევიზიონიზმმა“—თეორიაში მოიცვა მუშათა კლასის ზოგა წრეები და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებით შევსებული სოციალისტური პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილები ყველა ქვეყნებში. მიუხედავათ „რევოლიუციონური“ ფრაზეოლოგიისა, მიუხედავათ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ კონგრესებზე მიღებულ „პრინციპიალურ“ რეზოლიუციებისა, ზომიერებისა და შეგუების აზრში გამოხრა რევოლიუციონური სული მუშათა პროფესიონალურ და პოლიტიკურ მოძრაობის და ფაქტიურათ მეორე ინტერნაციონალის ეპოქის გმირებათ გახდნენ ყველა ქვეყნის ბერნშტეინები. რამდენათ ისინი მარცხდებოდნენ კონგრესებზე (დრეზდენის კონგრესი გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და ინტერნაციონალური—ამსტერდამში და შტუტგარტში) იმდენათ იღებდენ რევანშს პრაქტიკაში. სოციალიზმის სამ საერთო დაცემამ მეორე ინტერნაციონალის დროს დაასვა თავისი ბეჭედი პირველი მაისის დღესასწაულსაც. რევოლიუციონურმა, მისი მატარებელი კლასის სოციალური ბუნებით, მან მიიღო ჩვეულებრივი ფემის ხასიათი, შინაარსი მისი გამოიფიტა, მას შეეჩვია ბურჟუაზია, უკეთესათ რომ ვთქვათ, ის შეიჩვია, „მოიშინაურა“ ამ ბურჟუაზიამ. სოციალიზმის გამყიდველების პრაქტიკამ, ყველა ამ შეიდემანის, კუნოვის, კოლბის, რენოდელის, ვანდერველდეს, [illegible] „მუშაობამ“, ყველა ქვეყნების პროფესიონალური კავშირების არისტოკრატიის და ბიუროკრატიის „მოღვაწეობამ“ მოამზადა ნიადაგი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მრავალთა შორის მაგალითი შემდეგი ფაქტი გერმანიაში. 1919 წელს გერმანელ სოციალ—მოღალატეებს ნაციონალ ბურჟუაზიასთან შეთანხმებით ვეიმარის დამფუძნებელ კრებაში გადასწყვიტეს პროლეტარიატის პირველი მაისის დღესასწაული გადაექციათ გერმანულ ნაციონალურ დღესასწაულათ და მის დროშაზე დაეწერათ, როგორ ფიქრობთ ამხ. მკითხველო, რა მოთხოვნები? მოთხოვნა გამარჯვებული კოალიციის მიერ წართმეული კოლონიებისა და ტერიტორიის გერმანიისთვის დაბრუნების შესახებ. ასეთი დამარცხება აგემია პირველი მაისის პროლეტარულ დღესასწაულს სოციალ-შოვინისტებმა, ამნაირად შეილახა ის მათ მურტალ ხელში, ამნაირად შეისვარა დროშა პროლეტარიატის რევოლიუციონური წითელი მაისის, ასე დასცეს და ტალახში ამოსვარეს ეს დროშა ნაციონალური ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულმა მეორე ინტერნაციონალის გმირებმა.

მაგრამ ეს დროშა კვლავ ფრიალებს მისთვის [illegible] მიუწვდომელ სიმაღლეზე, რადგან ის ხელთ იგდო საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონურ პლატფორმაზე შეკავშირების დროშასთან ერთად, მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, ამ შტაბმა მსოფლიო რევოლიუციისა. დღეს მთელ მსოფლიოში პირველ მაისს ვერ შეხვდება ბურჟუაზია ისეთი გულ დამშვიდებით, რომელსაც ის შეაჩვია მეორე ინტერნაციონალის ხანაში მისმა მოშინაურებულმა ბელადებმა. დღეს ეს დღესასწაული ტარდება სულ სხვა სოციალ-პოლიტიკურ პირობებში, მის დროშას უკან მისდევს სულ სხვა რევოლიუციონური ლაშქარი სამოქალაქო ომის ალში გამოწრთობილი, სულ სხვა ფიქრით, სხვა განძრახვებით და სხვა უფრო მაგარი იარაღით ხელში, ვინემ ეს იყო მეორე ინტერნაციონალის დროს. ეს ფიქრები და ეს განძრახვაა იმპერიალიზმის განადგურება, ბურჟუაზიული კერძო საკუთრების ძირიან-ფესვიანათ ამოგდება და მხოლოდ ამ ნაირათ პროლეტარიატის და ყველა დაჩაგრულ ერების ინტეგრალური განთავისუფლება. ეს ბასრი იარაღია დაუნდობელი სამოქალაქო ომი, ომი მთელ ხაზზე, მთელ მსოფლიოში. მან უნდა შთანთქას ძველი ქვეყანა და მისცეს დასაწყისი ახალს, აშენებულს კომუნისტურ ურთიერთობაზე. ამ ომის ავანგარდია დღეს რუსეთის გმირული პროლეტარიატი, მისი ხელმძღვანელია მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი სარდალი ამხ. ლენინი. პირველი მაისი დღეს, გაშლილი სამოქალაქო ომის დროს, ხდება იმათ რაც უნდა იყოს ის თავისი ბუნებით: წითელ დროშათ თავის საბოლოო განთავისუფლებისათვის ამდგარი, საერთაშორისო მასშტაბში შეკავშირებულ-შედუღებული რევოლიუციონური პროლეტარიატის. ჩვენ დროში, ჩვენ შორის აღარ არის, აღარ შეიძლება იყოს ლაპარაკი იმაზე თუ რა უნდა დაიწეროს ამ დროშაზე „სოციალური რევოლიუცია“ თუ „სოციალური გარდაქმნა“, რომლის შესახებ ხანგრძლივი ვაჭრობა იყო გამართული მეორე ინტერნაციონალის ციურიხის კონგრესზე. ამ დროშას ამოძრავებს დღეს მესამე ინტერნაციონალის ხელში სულ სხვა მიზნები და ამ მიზნების შესახებ არ სტყუვდებიან ჩვენი დაუძინებელი მტრები, მდგომი მსოფლიოს სიგრძეზე აღმართული ბარიკადის მეორე მხარეზე. ეს არის უტყუარი თავდები რომ პირველი მაისი [illegible] დღეს პროლეტარიატის რევოლიუციონურ მიზნებს, რომ დღეს, პირველ მაისს, ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენ ხვალინდელ გამარჯვებას და იმპერიალიზმის განადგურებას.

გაუმარჯოს ჩვენ პირველ მაისს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ნ. კრედო.

შარშან და დღეს

სასტიკი და შეუბრალებელი ისტორია. იგი დაუნდობლად სცელავს ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც წინააღუდგება პროგრესისა, სიმართლისა და შრომის განთავისუფლებისაკენ მის ძლევამოსილ მსვლელობას. გუშინდელ მონას და დევნილს შვებას ანიჭებს და ცხოვრების სათავეში აყენებს, ხოლო ვინც აქამდე ბატონობდა, მშრომელთა ხარჯზე უსაქმურ და ნებიერ ცხოვრებას ეწეოდა,—მათ ხმა მაღლა შესძახებს: გეყოთ, რაც ამოდენა ხანი სტანჯეთ ხალხი, ეხლა დადგა ჟამი შურისძიებისა, თქვენი დასასრულის დღე,—და ამ წარსულის ნაშთებს, ახალი ცხოვრებისათვის ზედმეტ და მავნე ელემენტებს იცილებს სავალ გზიდან და ისტორიის არქივში ყრის. ძირითადი ხაზი, რომლითაც მიიმართება ცხოვრება შრომის და მუშათა კლასის თანდათანი გამარჯვებაა. ყოველი დღე, თვე, წელიწადი შრომის სუფევას, სოციალურ თანასწორობას გვიახლოვებს. აბა შევადაროთ ამ მხრივ შარშანდელი და დღევანდელი დრო. რა დიდი მანძილია გავლილი, რა დიდი განსხვავება არსებობს მათ შორის. მაშინ მუშათა კლასს ჯერ კიდევ ხელფეხი შეკრული ჰქონდა, არსებითად და ფაქტიურად იგი ჩამოცილებული იყო მართვა-გამგეობას და საშუალებას იყო მოკლებული მედგარი ბრძოლა ეწარმოებია კაპიტალისტური რეჟიმის დასამხობად, თავისი საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყველაზე უფრო არა ნორმალური და სამწუხარო ის იყო, რომ პროლეტარიატის საგრძნობ ნაწილს ჩახშობილი ჰქონდა თვით ხოლისაც კი კლასიური, სამოქალაქო ომის დაუყონებლივი გაჩაღებისა; მისი [illegible] მოწამლული იყო ოპორტუნიზმის შხამით. ცნობიერება დაბნელებული სოც.-გამყიდველების წყალობით, რომელნიც ჩასჩიჩინებდნენ მას მოსისხლე მტერთან, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საჭიროებას. საქართველოს სინამდვილეში უსაშინელეს სიყალბეს ჰქონდა ადგილი: როდესაც მუშათა კლასის სახელით მისთვის სრულიად უცხო საქმეს აკეთებდნენ, ბურჟუაზიულ, კერძო საკუთრებაზე დამყარებულ წყობილებას ჰქმნიდნენ, და ამას უსირცხვილოდ მშრომელ მასების საქმედ ასაღებდნენ. იყო, რასაკვირველია მეორე ნაწილი საქართველოს პროლეტარიატისა, განსაკუთრებით მისი მოუსყიდველი, ქვედა ფენები, რომელიც მწვავედ განიცდიდა ასეთ არა ნორმალობას, ღალატს, ვერ ურიგდებოდა შექმნილ ვითარებას, ხმას იმაღლებდა და აშკარად იბრძოდა მის წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი „ურჩების“ ასალაგმავად ყოფილი მთავრობა და მისი აგენტები სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ: სამსახურიდან ითხოვდნენ და [illegible] ქუჩაში ყრიდნენ, რეს-

გაუმარჯოს პირველ მაისის დღესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის საზღვრებიდან ასახლებდნენ, საპყრობილეების ოთხკედელში ალპობდნენ, იკვნიზიტორულად აწვალებდნენ და ხოცავდნენ კიდეც. ამ ორმა ნაწილმა საქართველოს პროლეტარიატისამ,—ერთმა მოსყიდულმა და მასთან კლასიური ცნობიერება დაბნელებულმა, მეორემ, თავის ინტერესების ნათლად შემგნებმა და მის განსახორციელებლად ბრძოლისათვის განმზადებულმა,—ჰპოვა გამოხმაურება შარშანდელ პირველ მაისობის დემონსტრაციაშიც. ჩვენ კარგად გვახსოვს მათ მიერ წამოყენებული ლოზუნგები. მენშევიკების ჯგუფი მოუწოდებდა პროლეტარიატს უმთავრესად რევოლიუციონურ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მოითხოვდა ამ ორ ქვეყნის მუშებს შორის ჩინურ კედლის აღმართვას და ნაციონალურ კარჩაკეტილობას.

მათ მიერ იყო წამოყენებული აგრეთვე საერთაშორისო, სოციალისტური ლოზუნგებიც, მაგრამ არა როგორც სადღეისო, რომლის განხორციელებას ეხლავე უნდა შევუდგეთ, არამედ შორეულ მომავალში, ვინ იცის როდის და შეიძლება არასოდეს. ეს ხრიკი იყო მათ მიერ ხმარებული, ასე ვსთქვათ ოფიციალურ ფორმალური ვალდებულების მოსახდელად და მუშათა კლასის დასაშოშმინებლად და გულის მოსაგებად. პროლეტარიატის გაბედული და შეგნებული ნაწილი კი, კომუნისტების მეთაურობით, მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირს, ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაუყონებლივ ბრძოლის გაჩაღებას და ეხლავე სოციალისტური აღმშენებლობის დაწყებას. გასაოცარი იყო ამ მუშების გაბედულობა იმ პირობებში, როდესაც ქუჩები სავსე იყო რამიშვილის აგენტებით, რომელნიც უთვალთვალებდნენ მათ, როგორც ანიშნულ და გაწირულ მსხვერპლს. ყოფილმა მმართველებმა ველარ მოითმინეს მამაცი მუშების აშკარა გამოსვლა და ცემა ტყვიით გასისხლიანებული წაასხეს „საიმედო ალაგას", საპყრობილეებში. მაგრამ მუშათა კლასმა და ისტორიამ ამ ვაჟბატონებზე შური იძია. შარშანდელი მაისი მათი ბატონობის უკანასკნელი მაისი გახდა. ეხლა კი პირველ მაისის დღესასწაულს ჩვენ ვხვდებით სულ სხვანაირ პირობებში. მუშათა კლასმა ბოლოს და ბოლოს შეიგნო თავისი ინტერესები, გადიგდო მოღალატე მენშევიკების მძიმე უღელი, ძალა-უფლება ნამდვილად აიღო ხელში და შეუდგა კომუნისტურ აღმშენებლობას. პირველ მაისს მუშათა კლასი, უკვე არადანაწილებული, არამედ ერთი მთლიანი ნებისყოფის და აზრით გამსჭვალული, გაუკეთებს ჯამს თავის წარსულ ნამოქმედარს და ამ მიხწეულ გამარჯვებას, მასთან აღნიშნავს მომავალ მოქმედების ხაზს. ეს მოქმედება იქნება მიმართული ერთის მხრივ, მშვიდობიანი ნაყოფიერი შრომის ორგანიზაციისაკენ კომუნისტურ საფუძველზე, მეორეს მხრივ, იგი როგორც ერთი მოწინავე რაზმი საერთაშორისო პროლეტარიატისა, ხელს შეუწყობს პროლეტარულ რევოლიუციის მსოფლიო მასშტაბში გამარჯვებით დაგვირგვინებას. ინტენსიური შრომა შიგნით, მჭიდრო კავშირი მეზობელ და საერთოდ ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან, აი ის გზა, რომლითაც ჩვენი მშრომელი კლასი თავის საბოლოო მიზანს განახორციელებს. პირველი მაისი შთაბერავს მას ამ მიზნისათვის საბრძოლველად ახალ სულსა და ენერგიას.

კან.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას და მის შტაბს მე-III კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალის წინამძღოლთ,

წითელი მაისი

ოქტომბრის გადატრიალებამდე პირველი მაისის ლოზუნგები იყო: 8 საათის სამუშაო დღე, ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობის გამტკიცება. ეს იყო უახლოვესი, კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის დამყარება—ეს იყო საბოლოო, სამერმისო ლოზუნგები, რომელთა განხორციელება მაშინ დღის წესრიგში კიდევ არ იდგა.

სულ სხვაა დღევანდელი პირველ მაისის ლოზუნგები, დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სრულიად ახალ ეპოქაში, ახალ ხანაში. ამ დიდებულ ისტორიულ ხანას ჰქვია პროლეტარული რევოლიუციის ხანა. დღეს საერთაშორისო რევოლიუციონურ კომუნისტური პროლეტარიატი დღის წესრიგში მკაფიოთ, სხარტათ, პირდაპირ და კატეგორიულათ აყენებს კითხვას კაპიტალიზმ—იმპერიალიზმის დახხობისა და სოციალიზმ—კომუნიზმის დამყარების შესახებ. დღეს პირველ მაისის დროშაზე სწერია: ბრძოლა მედგარი, შეუპოვარი, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, შეურიგებელი და თავგანწირული კომუნიზმისათვის. დღეს მსოფლიო პროლეტარიატი მთელი თავისი ძალების საერთო მობილიზაციას ახდენს, კავშირდება და ირაზმება ერთ შეუდრეკელ, უძლეველ, ტიტანიურ ძალათ, იმსჭვალება უაღრესი კლასიური შეგნებით, ფოლადისებური დისციპლინით და ემზადება უკანასკნელი, გადამწყვეტი შეტევისათვის. დღეს პროლეტარიატი ითვალისწინებს არსებულ ძალთა განწყობილებას ორ მსოფლიო ბანაკს შორის, რომ შეუცდომლათ, მარჯვეთ იხელთოს, შეარჩიოს სახელდახელო მომენტი და წამი საბოლოო ისტორიული იერიშებისათვის.

წინანდელი, სამარცხვინოთ და საზიზღრათ დასამარებულ მეორე ინტერნაციონალის ეპოქის პირველ მაისობა—იყო შედარებით მშვიდობიანი, სიტყვიერი, უსისხლო პროტესტი არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

დღეს კი სოციალური, კომუნისტური რევოლიუცია არა თუ დღის წესრიგში დგას, იგი კაი ხანია დაიწყო და ძველ ქვეყანას სასიკვდილო-ლახვარი უკვე ჩასცა გულში. სოციალური რევოლიუციის წინამორბედი სიგნალია ოქტომბრის რევოლიუცია. მისი პოლიტიკურ-იდეიური ბელადი და ორგანიზატორია წითელი რუსეთი. მისი ჯარის კაცია—ძლევამოსილი წითელი არმია. მისი გენიოსური სტრატეგი და შტაბია—მესამე ინტერნაციონალი.

სამ წელნახევარია, რაც გაუგონარი გმირობით, თავგანწირულებით და ენტუზიაზმით იბრძვის საბჭოთა რუსეთი მთელი მსოფლიოს ავაზაკების წინააღმდეგ. და დღეს თვალგადუწვდენელ წითელ რუსეთის სივრცეზე ძლევამოსილათ ფრიალებს კომუნისტური დროშა. რუსეთში ოთხი წლის წინეთ გაბატონებული კლასები დღეს საბოლოოთ შემუსვრილი და განადგურებული არიან.

დღეს მსოფლიო იმპერიალისტები და მათი დამქაშები, სასიკვდილო აგონიაში მყოფნი, აქეთ იქით ეხეთქებიან და გაფაციცებით ეძებენ გამოსავალს, ხსნას, დროებით ხსნას მაინც, ეძებენ რაიმე დასაყრდნობ წერტილს საზინელ უფსკრულის წინაშე მდგარნი, რომელშიაც დღეს თუ ხვალ ისტორიული აუცილებლობით, უეჭველათ უნდა გადიეშვან, აბობოქრებული კომუნისტური რევოლიუციის მახვილით განგმირულნი.

დამარცხებული სამოქალაქო ომში, სამხედრო ფრონტზე, ევროპა-ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს დასძლიოს კომუნისტური რუსეთი სხვა გზით სხვა საშუალებით, მშვიდობიანი პოლიტიკა დიპლომატიით ეკონომიურ ნიადაგზე.

მაგრამ ფუჭი იმედია! წითელი რუსეთის და მის მოკავშირე მსოფლიოს პროლეტარიატი გაშმაგებით და უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვის ორივე ფრონტზე: შრომის და ხმლის, და ხმლის ფრონტზე დღევანდელ გაალმასებულ კლასთა ბრძოლის, გაფთრებულ ქალაქო ომის ხანაში მისი ვინტოვკა სტიქიათ, მეორე ბუნებათ გადიქცა და უნდა გადაქცეულიყო მებრძოლ პროლეტარიატის ხელში. და როგორც ომის ასპარეზზე, სამხედრო ფრონტზე წითელი რუსეთის მშრომელებმა მთელი მსოფლიოს თვალში აშკარათ დაამტკიცეს თავის უძლეველობა, ისე კიდევ უკეთესათ დაამტკიცებენ ისინი თავის გენიალობას ეკონომიური აღმშენებლობის ფრონტზე.

წითელი რუსეთის გამარჯვება—გამარჯვებაა მსოფლიო კომუნიზმის. და პირიქით: მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციის გამარჯვებისათვის—აუცილებელია წითელი რუსეთის სიმტკიცე და ძლევამოსილება.

ქართველი მშრომელი ხალხი დღეს თავისუფლათ დღესასწაულობს წითელ კომუნისტურ მაისს. მით უფრო სასიხარულო და საზეიმო არის და უნდა იყოს ეს დღე მისთვის.

დღეს ქართველი მშრომელი ხალხი და მისი ბელადი—კომუნისტური პარტია განუსაზღვრელ ბედნიერებას გრძნობს, ვინაიდან წითელი რუსეთის დახმარებით და მასთან ერთად უკვე ჩადგა მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციის ფერხულში.

25 თებერვლიდან, როდესაც სამუდამოთ აღიგავა პირისაგან ქვეყნისა ძველი „დემოკრატიული" რეჟიმი, რეჟიმი ჩაგვრა—ყვლეფის და დამონების, როცა ქართველმა მშრომელმა ხალხმა ერთი დაკვრით თავიდან მოიშორა მენშევიკების სამარცხვინო, მძიმე და აუტანელი უღელი და ფეხი შედგა კომუნიზმის აღმშენებლობის ხანაში იშლება ახალი ფურცელი მის ცხოვრებაში და მისი მსგავსი რამ არ განუცდია ჯერ ქართველ ხალხს და არც შეეძლო განეცადა მთელ თავის გრძელ და სისხლით შელებილ ისტორიის სივრცეზე.

25 თებერვალს „დემოკრატიული" საქართველო იქცა საბჭოთა საქართველოთ. ამ დღეს ქართველმა მშრომელმა ხალხმა ერთიანათ დალეწა-დაამსხვრია მენშევიკური ტირანიის ბორკილები და გადაიქცა ქვეყნის ბატონ-პატრონათ.

მენშევიკები, რომ დიდხანს შეენარჩუნებიათ ბატონობის ტახტი და განცხრომით ებოგინათ ქართველი მშრომელი ხალხის დაკოჟრებულ ზურგზე, „მეცნიერულათ" ამტკიცებდნენ ამ ხალხის „მოუმწიფებლობას" სოციალიზმისათვის. მენშევიკებმა ძალათ, ხიშტებით და გაცოფებული შოვინისტური ქადაგების საშუალებით დროებით ჩამოაშორეს, მოსწყვიტეს ქართველი მშრომელები თავიანთ ღვიძლ ძმებს—რუსეთის მუშებს და გლეხებს. ეხეც ,,მეცნიერული" მეთოდი იყო!

თებერვლის შემდეგ ქართველი მშრომელი ხალხი ისევ მჭიდროთ შეუკავშირდა რუსეთის მშრომელ ხალხს.

ამიერიდან ქართველი ხალხი ძმურა
გაიყოფს ჭირსა და ლხინს რუსეთ
ხალხთან. ამიერიდან უმცროსი ძმა—წ
თელი საქართველო—განუყრელი კავ
რით შეეკრება წითელ რუსეთს,
მელთანაც იგი ერთგულათ და თავგ
წირულათ იბრძოლებს მსოფლიო კომ
ნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

ამიერიდან მჭიდროთ, ხელიხელ
დებული წითელი ამიერ-კავკასიი
ტარა რესპუბლიკები ერთად გა
კომუნიზმის საშველისაკენ წითელ
სეთის მეთაურობით და ხელმძღვ
ბით.

დღეს ქართველი ხალხი დგას უ
სი ისტორიული გამოცდის წინაშე:
უნდა დაამტკიცოს თავისი პოლიტ
შეგნება-მომწიფება და გამოიჩინოს შ
ლის უნარი. ქართველმა ხალხმა ამიე
დან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ღ
სია წითელი რუსეთის 'ძმობი' და ამ
ნაგობის, რომ იგი ღირსია კომუნიზმ
რომ იგი რაინდია რევოლიუციის.

დაიჭერს ამ ისტორიულ გამოცდ
ქართველი ხალხი? ჩვენ ამაში ოდნავ
თაც არ შეგვედის ეჭვი. ქართველი მ
შები და გლეხები შესძლებენ შემუსრ
როგორც შინაური, ისე გარეშე მტრებ

დღევანდელი საზეიმო დღე, პირველ
წითელი მაისი ამის უტყუარი თავდე
და წინამორბედია.

გაუმარჯოს წითელ მაისს!
გაუმარჯოს წითელ საქართველო
გაუმარჯოს წითელ რუსეთს!
გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!
გაუმარჯოს მესამე ინტერნაცი

თავის მ

მუშის სიმღერა.

(პირველ მაისისთვის).

ამხანაგო, ჩემთან მოდი!
შრომის შვილო, მომეც ხელი!
ერთმანეთი გადავკოცნოთ
დღე დაგვიდგა დღე ნათელი,
დღე-პირველი მაისისა,
დღე მომგონი შავ წარსულის,
როს ჩვენს ცაზე არ მოსჩანდა
მზე სხვთ მფრქვევი სიხარულის!
მოდი ძმაო, მოვიგონოთ,
როცა სხვისთვის ოფლსა ვღვრიდით,
როს სიხარულს, ნეტარებას
სხვებს უქმედდით, სხვებს უქმნიდით,
როცა სისხლით, ჩვენი სისხლით
ნეტარებდენ მდიდართ ხროვა,
ჩვენ ქოხებში კი ისმოდა
მუდამ კვნესა, მუდამ გლოვა.
დღეს კი, ძმაო, სხვა დღე არის,
დღე—პირველი მაისისა,
დღეს ჩვენ უნდა გავიხაროთ
დღეს მტრები კი ცრემლს დაღვრისა.
ამხანაგო, ჩემთან მოდი!
შრომის შვილო, მომეც ხელი!
ერთმანეთი გადავკოცნოთ
დღე დაგვიდგა, დღე ნათელი,
დღე შუქმფენი, საიმედო,
სანეტარო მომავლისა,
როს ოცნება—სიხარული
ამა ქვეყნათ ფრთებს გაშლისა.

სანდრო ეული.

პარიზის საერთაშორისო მუშათა კონგრესის რეზოლიუცია

პირველი მაისობის შესახებ.

(კონგრესის ოქმებიდან).

„საფრანგეთის მუშათა სინდიკატებისა და კორპორაციების ნაციონალურ კავშირის სახელით მოქალაქე ლავინი წინადადებას იძლევა დიდი მანიფესტაციის მოწყობის შესახებ, რომლის დანიშნულება იქნება ხელი შეუწყოს კონგრესის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას. შინაარსი წინადადებისა ასეთია:

ინტერნაციონალური მანიფესტაცია 1890 წ. მაისის 1 ს.

„კონგრესი ადგენს:

„უნდა მოეწყოს ერთი გარკვეულ დროის დიდი ინტერნაციონალური მანიფესტაცია, სახელდობრ იმნაირათ, რომ ერთ და იმავე დროს ყველა ქვეყნებში და ყველა ქალაქებში ერთ რომელიმე დანიშნულ დღეს მუშებმა წარუდგინონ მთავრობას მოთხოვნა რვა საათის სამუშაო დღის შემოღების და პარიზის ინტერნაციონალური კონგრესის დანარჩენ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ.

„რადგან ასეთი მანიფესტაცია უკვე დანიშნული იყო 1890 წლის პირველი მაისისათვის ამერიკის შრომის კავშირის (Federation of labor) კონგრესის მიერ, რომელიც შეიკრიბა სან-ლუიში 1888 წლის დეკემბერში, ამიტომ ეს დღე დაინიშნოს ინტერნაციონალური მანიფესტაციის მოსაწყობათ.

„სხვა და სხვა ერების მუშებმა უნდა მოაწყონ ეს მანიფესტაცია ისეთი წესით და იმნაირათ, როგორიც ეს შესაძლებელი იქნება მათ ქვეყნებში არსებულ პირობების მიხედვით.

„ოქმები პარიზის ინტერნაციონალური მუშათა კონგრესისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1889 წლის ივლისის 14-დან 20-მდე. ნიურნბერგი, 1890. გვ. 123.

საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია და მისი გამცემლები

ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალის არსებობის დროს (1889-1914 წ. წ.) საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში იჩინა თავი ოპორტიუნისტულმა მიმართულებამ (ბერნშტეინიანიზმი, რეფორმიზმი, რევიზიონიზმი, და ეკონომიზმი და მენშევიზმი რუსეთში და სხვ.), რომელიც უარყოფდა რა რევოლიუციონური მარქსიზმის ძირითად დებულებებს, თანდათან არსებითათ სცილდებოდა კლასობრივი ბრძოლის ნიადაგს. ეს მსოფლიო ოპორტიუნისტული მიმართულება სოციალისტური ფრაზეოლოგიის საშუალებით აბრმობდა მუშათა კლასობრივ, თვითშეგნებას და აყენებდა პროლეტარიატს შემცდარ გზაზე. ის უნერგავდა მუშათა კლასს სრულიად ყალბ და შემცდარ შეხედულებას ბურჟუაზიულ თავისუფლებაზე, ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმზე და სხვ. და სხვ. იმის მაგიერ რომ ნათლათ და გარკვევით დაეყენებიათ მუშათა კლასის წინაშე ყველა მყვლეფელ კლასების, კაპიტალისტების და მემამულეების, თავშეუკავებელი ბატონობა, იმათი დიქტატურა, იმის მაგიერ, რომ ნათლათ და სრული სიცხადით დაეყენებიათ საკითხი კაპიტალისტური **წესწყობილების დამხობაზე, ე. ი. პროლეტარულ რევოლიუციაზე,** მეორე ინტერნაციონალის ბელადები (უმრავლესობა) მუშათა კლასს პირდებოდენ მისი მდგომარეობის გაუმჯობესობას თვით ბურჟუაზიული საზოგადოებაში პარლამენტარული ბრძოლის საშუალებით.

ერთი სიტყვით მეორე ინტერნაციონალის დიდი უმრავლესობა თითქმის სავსებით ჩამოშორდა რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდებს და გაიჟღინთა რეფორმიზმით მაგრამ დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ თუმცა მეორე ინტერნაციონალის ყველა კონგრესებზე დიდი უმრავლესობით გაჰყავდათ რევოლიუციონური ხასიათის რეზოლიუციები მაგრამ თვით საქმე, თვით პრაქტიკა მეორე ინტერნაციონალისა სრულებით ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ეს რეზოლიუციები ამბობდნენ. **პრაქტიკა და თეორია მეცნიერულ-სოციალიზმისა ერთი ერთმანეთს დაშორდნენ.** ეს სავსებით გამოაშკარავდა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე 1914 წ. მაშინ ცხად შეიქნა, **რომ მეორე ინტერნაციონალი ფიქცია იყო; რომ მუშათა ინტერნაციონალის ლოზუნგი: მუშებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!** სინამდვილეში აღარ არსებობდა; რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები იმის მაგიერ, რომ მოეწოდებიათ ყველა ქვეყნის მუშებისთვის იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის გამოცხადებით თვით იმპერიალიზმის, თვით კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ; ნამდვილათ მოუწოდებდენ მუშებს საკუთარ ბურჟუაზიასთან ერთად სხვა ქვეყნის მუშების წინააღმდეგ.

მაგრამ თუმცა მეორე ინტერნაციონალი გაკოტრებული და ფიქცია აღმოჩნდა, თვით **მუშათა ინტერნაციონალის** იდეა ამით, რა თქმა უნდა, არ გამქრალა. დამარცხდა არა მუშათა ინტერნაციონალი, არამედ ის ოპორტიუნისტული, ის მენშევიკური მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, რომელიც მეორე ინტერნაციონალში დამყარდა.

დღიდან მეორე ინტერნაციონალის ასეთი სამარცხვინო დამარცხებისა, იწყება შეურიგებელი ბრძოლა ნამდვილი მუშათა ინტერნაციონალის შესაქმნელათ ერთი მხრით, და იმპერიალისტური ომის **სამოქალაქო ომათ გადასაქცევათ მეორე მხრით. ვინ წარმოიდგენდა, რომ ის მცირე რიცხოვანი ჯგუფი ნამდვილ, ჭეშმარიტ** სოციალისტებისა (რუსეთის ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით, კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსემბურგი, იტალიელი, შვეიცარიელი მემარცხენე სოციალისტები და სხ.), რომლებმაც გამოუცხადა მეორე ინტერნაციონალის უმრავლესობას დაუზოგველი ბრძოლა და ამავე დროს გამოისროლა ლოზუნგი მესამე **კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა,**—ვიმეორებთ ეს მცირე რიცხოვანი ჯგუფი, რომელიც მის მტრებს სასაცილოთაც არ ყოფნიდათ, სულ მოკლე ხნის განმავლობაში ისე გაიზრდებოდა, ისე გაძლიერდებოდა, რომ ის აღმართავდა **დროშას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისას,** რომ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ის გააჩაღებდა სამოქალაქო ომს, რომ ნაცვლად მეორე გახრწნილი ინტერნაციონალისა, რომელმაც თავი ამოყო იმპერიალისტების ბანაკში, როგორც იმათი მოკავშირე, ის შექმნიდა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს,—ერთად ერთ ორგანიზაციას, რომელიც პირის პირ უდგას დღეს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიულ ქვეყნიერებას. ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში და დამყარება იქ საბჭოთა ხელისუფლების, შექმნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის, რომელიც თანდათან იზრდება და თავს უყრის მუშათა კლასის, ყველა ქვეყნების მშრომელთა სასიცოცხლო, მოწინავე და რევოლიუციონურ ელემენტებს,—ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუცია თანდათან გვიახლოვდება და ჩქარდება, რომ სოციალ-მოღალატენი და სოციალ-გამცემლები, მენშევიკები (შეიდემანები, ნოსკეები, მარტოვები, ჟორდანიები, წერეთლები, ჩხეიძეები და სხ.) კარგავენ ყოველივე ნიადაგს ცხოვრებაში და სასტიკათ მარცხდებიან, რომ ერთად ერთი ძალა, რომელსაც დღეს ისინი ეყრდნობიან, არის მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონური კლასების ძალა. დამარცხებულნი საბჭოთა რუსეთში, ისინი გადაიმალენ ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში, ლატვიაში, ესტონეთში, საქართველოში და სხვ. სადაც ისინი უერთდებოდენ მეფის გენერლებს და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისტორიული მსვლელობით, პროლეტარული რევოლიუციის სფეროს გაფართოვებით დამარცხებულნი, სოციალ-მოღალატენი ქართველ მენშევიკების ბელადები ახლა საქართველოდან გადაბარგდენ და მოიკალათეს ანტანტის იმპერიალისტების წიაღში, რომ განაგრძონ უიმედო და სამარცხვინო ბრძოლა პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ. მაგრამ იმათი ბნელი საქმე სამუდამოთ წაგებულია. რუსეთის მუშათა კლასის დიქტატურის არსებობა 3 ნახევარ წლის განმავლობაში, მსოფლიო პროლეტარიატის ყველა რევოლიუციონურ და სოციალისტურ პარტიების დარაზმვა მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალში,—ყველა ეს ფაქტები აშკარად ღაღადებენ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვების მოახლოვებას და ამ რევოლიუციის და მუშათა კლასის მოღალატეების—საერთაშორისო მენშევიკების საბოლოო დამარცხებას. ამ აზრს კიდევ უფრო ცხადჰყოფს ის გარემოება, რომ რევოლიუციონური მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგით და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პირდაპირი ზეგავლენით უკვე შეიჭრა ისეთ ჩამორჩენილ და დამონებულ ქვეყნებში, როგორიც არის კოლონიები და ნახევარ კოლონიები (ინდოეთი, ჩინეთი, სპარსეთი, ბუხარა, ეგვიპტე და სხვ. და სხვ.), სადაც მშრომელი მასსა ირაზმება და იბრძვის თავისი ქვეყნების განსანთავისუფლებლათ ევროპა-ამერიკის იმპერიალისტების კლანჭებიდან.

ამნაირათ, უდიდესი ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!—დღეს უკვე სინამდვილეში ხორციელდება.

ფ. მახარაძე.

გაუმარჯოს კავკასიის ერთა სოლიდარობას! გაუმარჯოს აღმოსავლეთის გამოფხიზლებულ ხალხთა რევოლიუციონურ ბრძოლას.

გაუმარჯოს ერთად-ერთ სწორ გამომხატველ მშრომელთა ინტერესებისას კომუნისტურ პარტიას,

ზიზღი და კრულვა მენშევიკების მეთაურთ, რომლებმაც გაცარცვეს საქართველოს მშრომელი ხალხი

წითელი პირველ

— გადალახული მძაფრი ზამ
მოლწეული გაზაფხულის პი
ცხოველ-მყოფელი მზის სხივ
თბარი არე-მარე.
აყვავებული, გაფურცლ
აწვანებული მდელოებ

სწაულს საბჭოთა საქართველოში!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პირველი მაისი

დღეს პირველი მაისია, ყველა ვგრძნობთ ეს დიდი დღეა,
დღეს ხორცს ისხამს მაშვრალ ხალხის ოცნება და მძლე იდეა;
მთელი ქვეყნის მუშა ხალხი დღეს ზეიმობს კიდით-კიდე,
რომ სამყაროს, ბნელით მოცულს შეაფხრიწოს შავი რიდე!
და ამიტომ ირაზმება, საუცხოვოდ, მწყობრად ისე,
დაცემული გააკაფოს, სულს მოფინოს სიხალისე...
მთელი ქვეყნის მუშა ხალხი დღეს გამოდის ქუჩებშია,
თუმც სიტიტვლე სიშიშვლეს გრძნობს, სწყურია და კიდეც შია,
მაგრამ რწმენა გამარჯვების მათ სულს და გულს ასულდგმულებს,
და იკრებავს თავს გარშემო ბრძოლის ცეცხლით აღგზნებულებს!
და ჰა, უკვე დარაზმულა საუცხოვოდ, მწყობრად ისე,
სასო-მიხდილს ნუგეშსა ჰფენს და აღვიძებს სიხალისე...
ერთი არის მისწრაფება, ერთი არის მძლე ძახილი,
მებძოლ გმირებს—ძმური ხელი, მოსისხლე მტერს კი—მახვილი...
დიდი დღეა და ეს რწმენა ჩვენს გულს და სულს აალმასებს,
ერთ ოჯახში გვიყრის თავსა მთელი ქვეყნის მაშვრალთ დასებს.
ჰა, დროშები... ჰა, მუსიკა, ტალღისებურ მოდის წყება,
ვერ გაარკვევ ზვირთთა დენა სად თავდება, სად იწყება!..
სიხარული... აღმაფრენა... ბრძოლისა ხმა კიდით-კიდე;
იფანტება ბურუს ნისლი, იფხრიწება შავი რიდე...
დღეს პირველი მაისია, ყველა ვგრძნობთ ეს დიდი დღეა,
დღეს ხორცს ისხამს მაშვრალ ხალხის ოცნება და მძლე იდეა!..

გაზაფხული.

იონა ვაკელი.

სამაისოთ.

მთელ მსოფლიოს წამებულნო,
მომავალის თაიგულნო!..
ბრძოლის ცეცხლით გავიმსჭვალოთ,
მტრის წინააღმდეგ ავიმაღლოთ...

ჩვენ ეს დროშა გამარჯვების,
გაბედულათ ზე ავსწიოთ,
და უშიშრათ იერიშით,—
გრიგალივით წინ გავსწიოთ!..

გვეყო, გვეყო მონება;
ჩაგვრა, დევნა ამოდენი,
ბრძოლა არის გადამწყვეტი—
მზე ამოდის სხივთა მფენი!..

და გაიგოს მთელ ქვეყანამ,
რომ ჩაგრულთა ჩვენ ვართ მხსნელი,
დღეს მარცხდება სამუდამოთ;
ბოროტება, შავი ბნელი!..

ჩვენ ეს დროშა გამარჯვების
გაბედულათ ზე ავწიოთ,
და უშიშრათ იერიშით
გრიგალივით წინ გავსწიოთ!...

აპოლონ სპირდონ ძე.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს!

დაჰკრა ჟამმა... და მზის შუქმა
მიმოჰფანტა შორს წყვდიადი
და ბნელისა ღამის ნაცვლად
ჰა, ვიხილეთ განთიადი.

დაჰკრა ჟამმა... და დაინგრა
ოქროს ტახტი ნორჩი კერპის
და მის ნაცვლად აღიმართა
ტახტი შრომის, შვების ღმერთის.

დღეის იქით შრომის შვილნი
იგემებენ შვება ლხენას;
მშრომელთ მტრები—ჯაჭვ ხუნდებსა,
ან პირდაპირ—სახრჩობელას.

დღეის იქით შრომის შვილებს
ვერ დაჰჩაგრავს მათი მტერი
და მიტომაც სიხარულით,
სათნოებით ასე ვმღერი:

„გაუმარჯოს მშრომელ ხალხის
ინტერესთა დამცველ ძალებს!
ზიზღი, ზიზღი მშრომელთა მტრებს,
ზიზღი, ზიზღი მაგ მტარვალებს!“

„გაუმარჯოს ქართველ მშრომელთ!
მათ მიწა-წყალს,—ტურფა მდელოს—
გაუმარჯოს თავისუფალ,
მუშურ-გლეხურ საქართველოს!“

დაბა ხობი, 20 მარტი.

კალე ფეოდოხიშვილი.

— დღეს, ამ მშვიდარ ბუნების კალთებში იშვა პირველი მაისი.

პირველი მაისი...—

ეს ხომ არა მარტო მოსიყვებულთ, ხელოვნურათ გამართული ზეიმია შრომის შვილის, ბრძოლაში გაკაჟებული პროლეტარის!—ამით ხარობს, ზეიმობს ხომ თვით ბუნებაც, რომელიც სიცოცხლეს აძლევს, ნეტარებას აფრქვევს თავის წიაღში ნაშობ და სულდგმულ მუშას...

პირველი მაისი...—

ეს მართლად მარტო მუშას ეკუთვნის; ამ დღეს მხოლოდ იმას ეძლევა ნება გამოვიდეს ადამიანთა და ბუნების მიერ ამ საზეიმოთ მორთულ ქუჩებში, მონაწილეობა მიიღოს ზეიმში, შეყრილ ყველა ეროვნებათა თავის მოძმეებში დასძახოს მსოფლიო პროლეტარული ჰიმნი,—„ინტერნაციონალი“.—

პირველი მაისი...—

ეს დღე არ ეკუთვნის უქმათ მყოფთ, პარაზიტებს; დღეს ვერ გამოვლენ ქუჩებში ისინი, ვინც სხვისი შრომით არსებობდენ; დღეს ვერ მიიღებენ მონაწილეობას გამართულ ზეიმში ისინი, ვინც სხვების ტკივილებზე, სხვების ტირილზე აშენებდენ თავიანთ განცხრომას და თავიანთ სიხარულს.

პირველი მაისი..—

საქართველოს შრომის შვილთ დღევანდლამდის არ შეეძლო ეთქვათ,—„ჩვენი პირველი მაისი“.

„პირველი მაისი“..—

იგი ხომ შემპარავ მტრების მიერ სულ-გულ გამორთმეული, მუშების ხელებით, მუშებისავე წინააღმდეგ იარაღად გადაქცეული იყო.

„პირველი მაისი“...—

— მაგონდება წარსული ორი, სამი წელი.

გაბატონებული მტრები შრომის შვილთა...

— პატარა საქართველოს მრავალი ციხეები მუშებით და გლეხებით ამოვ-ბულნი.

ალ წინ მიდგას განსაკუთრებით წელი...

„პირველი მაისი“.

ქუთაისის ციხე...—

აქ ვზივართ ათასამდის ამხანაგები.

ენთან არიან მუშები, გლეხები, ინ-გენტები.

ნში მოიპოვებიან საქართველოში ული თითქმის ყველა ერების წარ-მადგენლები, სომეხი, ქართველი, ური, თათარი.

ში ურევია მრავალი სხვა და პროფესიის: ზეინკალი, დალაქი, ე, მკერავი, იურისტი, ჟურნა-ტი.

ჩვენთან იმყოფებიან აქ ნაცადი ძველი რევოლიუციონერები: მიშია ორახელაშვილი, მიშა ოკუჯავა, თედორე კალანდაძე, სერიოჟა ქავთარაძე, რაჟდენ კალაძე, ვანო სტურუა, ეჯიბა, ფიგატნერი.

ამხ. ფილიპე მახარაძე, ლადო დუმბაძე და კოტე ცინცაძე, მტრის მრჩეველებიდან დასხლტილნი ამ დროს თბილისში მალულათ „იატაკ ქვეშ“ იმალებოდნენ და ამხ. ამ. ნაზარეტიანთან ერთად ხელმძღვანელობას უწევდნენ კომუნისტურ პარტიას.

ერთი ადამიანი, ერთი რევოლიუციონერი იყო ამ დროს გარეთ დარჩენილი რომელიც მტრის ხელს არ შეებოჭა ჯერ კიდევ, არ მოეწყვიტა სუფთა ჰაერისთვის,—ეს იყო ჩვენი მოხუცი მასწავლებელი ამხ. მიხა ცხაკაია, მაგრამ არ გადის დიდი ხანი, რომ ისიც შემოჰყავთ ჩვენთან დაჭერილი.

— ჩვენი მტრები ამას სჩადიან „რევოლიუციის“ სახელით.

ისინიც „დღესასწაულობდნენ“ „პირველ მაისს“.

...მახსოვს, ვიგონებ და განცვიფრებას ვეძლევი როცა წარმოვიდგენ,—

..წარსულ წელს, დღეის დღეს ჩვენ, აწ გამარჯვებულებმა ყველამ ხომ ქუთაისის ციხეში გავითენეთ პირველი მაისი და ჩვენ ხომ იქ—ვიზოგეთ და ავუმართეთ წითელი ბრძოლის დროშა, ოთხ კედელში ჩაკეტილებმა სინათლე მოკლებულებმა, წარმოვსთქვით სიტყვები შრომის დღესასწაულის აღსანიშნავათ, დავსძახეთ ციხიდან ბრძოლის ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

— ჩვენ არ ვიტეხდით გულს, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით დადებულ ბორკილებს დავსწყვეტდით; ჩვენ იმედი გვქონდა, ვხილავდით სინათლეს, ვიხილავდით მტერს ჩვენს ფეხთ ქვეშ განართხმულს.

— ჩვენ არ მოვსტყუვდით და აბა,—ხომ მას დღეს აღსრულებულს ვხედავთ!!!

პირველი მაისი...—

ჩვენ გვეკუთვნის ის.

მიყვარს მე იგი...

მისი ხსენება მე წარმომიდგენს ერთი მხრივ წარსულ, კლასობრივ მტრებთან წარმოებულ ბრძოლებს, მეორე მხრივ შრომის ბრწყინვალე გამარჯვებას ბრძოლით მოპოვებულს, ნათელი მომავლის სანეტარო პერსპექტივებით აღბეჭდილს.

გული ჩემი უზომო სიამით იწყებს ცემას, სული სიტკბოებით ღელავს, მიმაფრენს შორს, შორს, სადღაც...

პირველი, ჩვენი წითელი მაისი

ეს შრომის დღესასწაულია.

მას ჩვენ ვხვდებით...

დღეს ჩვენ არა მოყვრებს ვერ დავინახავთ ჩვენ შორის.

ამხანაგებო! გადავეჭიდოთ ხელები ერთმანეთს, ჩავეწყოთ, ჩავირაზმოთ, ჩავათვალიეროთ ახლად შექმნის პროცესში მყოფი ჩვენი წითელი ძალები, რომელიც იწვრთნება, ემზადება მოახლოვებულ მსოფლიო პროლეტარულ უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისთვის და უკარგავს მოსვენებას, სცემს თავზარს ჩვენ შინაურ და გარეშე კლასობრივ მტრებს...

პირველი, ჩვენი წითელი მაისი...—

შრომის შვილნო! გავშალოთ წარბები ავმართოთ მაღლა თავები, ავათამაშოთ პირზე სიამის ღიმილი, გავიხაროთ, დავსტკბეთ ჩვენი პირველი წითელი მაისით!!!

ს. თალაკვაძე.

დღე გამარჯვებისა!

მუშათა კლასმა დააწესა თავისი დღესასწაული—პირველი მაისი“.

დედა-მიწის ზურგზე სხვა და სხვა ქვეყნის მუშები დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან მანძილით, ენით, ზნე-ჩვეულებით, მაგრამ იმათ აერთებს და ადუღებს საერთო საბოლოო მიზანი;

და რომ ეს საერთო მიზანი და მის გარშემო ერთად დარაზმვა, გაერთიანება ყველას ახსოვდეს, ამისათვის დააწესა მან პირველი მაისი!

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშა ხალხს!

გაუმარჯოს იმის საბოლოო მიზანს!..

პირველი მაისი კარია გაზაფხულის უბრწყინვალესი თვისა.

მუშა ხალხის დღესასწაულიც სწორედ კარია კაცობრიობის ახალ ხანისა, ბრწყინვალე ცხოვრებისა.

პირველი მაისი ხალხის ყველა მტერს ეუბნება, რომ მათი დღე დათვლილია.

პირველი მაისი უდიდესი დღესასწაულია მუშა ხალხის, თავდები მისი საბოლოო გამარჯვებისა.

პირველი მაისი მხოლოდ მუშა ხალხს ეკუთვნის, მუშა ხალხის ნებით არის გამოკვეთილი ის ჟამთა ტკეცილზე,

ამიტომ მუშა ხალხი პირველ მაისს განსაკუთრებულათ უნდა შეხვდეს.

პირველ მაისს ის უნდა იყოს განსაკუთრებით მტკიცე, ხალისიანი, იმედიანი ამაყი და სახე ბრწყინავი, წელში გამართული, შუბლ გაშლილი.

პირველ მაისს განსაკუთრებით უნდა ხედავდეს ყველა მუშა, ხალხის ძლიერებას, დარაზმვას და სოლიდარობას. პირველი მაისი უნდა აგონებდეს ყველას, რომ მუშა ხალხის დამარცხება შეუძლებელია.

დიდებულ დღეს დიდებულად მივეგებოთ. მოყვარეს იმედით აუვსოთ გული, მტერს კი ვაგრძნობინოთ უფრო მწვავეთ, თუ რა ძლიერია მუშა ხალხი.

პირველი მაისი ხომ ჩვენი უნეტარესი დღეა, ჩვენი ოცნების ფერით შემსხმული.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

ტერენტი შარიქაძე.

დ. ხარაგოული.

პირველი მაისისთვის

მსვლელობის წესრიგი.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ ლაშქრის და ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად გამოიმუშავა მუშათა ორგანიზაციების მსვლელობის შემდეგი მარშრუტი 1 მაისის დღესასწაულისთვის:

დილის 9 საათზე ლაშქარი და პროფესიონალური ორგანიზაციები თავს იყრიან თავის რაიონებში შემდეგი წესით: რკინის-გზელები—პიროგოვის ქუჩაზე, მელითონენი და ელექტრონის დარგის მომუშავენი—ტატიანეს ქუჩაზე, ტრანსპორტის მუშები—ქსენიას ქუჩაზე, თამბაქოს ქარხნებში მომუშავენი—კირკის ქუჩაზე, დაბალნი—პეტროგრადის ქუჩაზე, კომუნალურ მეურნეობის და ტრამვაის მუშები—მელგის ქუჩაზე, ფეიქრები—რეუტოვის ქუჩაზე, სამშენებლო მუშები—კოჩუბეევის ქუჩაზე, „ნემსის“ მუშები ალექსანდრეს ბაღთან, მიწისა და ტყის—ველიამინოვის ქუჩაზე, მილიციის ოხლენი—ერევნის მოედანზე, შინა მოსამსახურენი, შინა მრეწველები და მეეტლები—სოლოლაკის ქუჩაზე. მზარეულები და სახალხო კვების მოსამსახურენი ლორის მელიქოვის ქუჩაზე; სახალხო კავშირის მოსამსახურენი გიორგის ქუჩაზე. ლაშქარი იკავებს რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეს მუშათა სასახლიდან დაწყებული ვერის დაღმართამდე მედიკო-სანიტარულ განყოფილებების მოსამსახურენი და ქიმიკოსები მოსკოვის ქუჩაზე, საბჭოთა მომუშავენი და ხელოვნების მუშაკნი—ჭავჭავაძის ქ., მოწაფენი სამხედრო ტაძრის მოედანზე და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი ერმოლოვის ქუჩაზე. ბავშვები 14 წელზე უფროსნი (მე-4 კლასიდან დაწყებული, მონაწილეობას ღებულობენ საერთო მსვლელობაში, ამასთან ყველანი თავთავის სასწავლებლებიდან გროვდებიან გრიბოედოვის ქუჩაზე და იქიდან უერთდებიან საერთო პროცესიას.

საქართველოს რევკომი, ქალაქის რევკომი, საქართველოს კომპარტიის ც. კ., თბილისის კომიტეტი და 4 რაიონული კომიტეტი, ლაშქრის შტაბი და პროფკავშირები თავს იყრიან დილის 10 საათისთვის სასახლის წინ მოედანზე. მათ წინ გაივლის მთელი პროცესია.

ყველა ჩამოთვლილი პროფესიონალური ორგანიზაციები დილის 9 ნახევარ საათზე გამოდიან შესაკრებ პუნქტებიდან და მწკრივდებიან რუსთაველის პროსპექტზე. ინსტრუქტორის მიერ მიცემულ ნომრების მიხედვით, ამასთან ის რაიონები, რომელნიც იმყოფებიან მტკვრის მარცხენა ნაპირას, გაივლიან პლეხანოვის ქუჩას, ვორონცოვის ხიდს, პუშკინის ქუჩას, ერევნის მოედანს და რუსთაველის პრ.

ისვლელობას იწყობენ რკინის-გზელები, რომელნიც მიემართებიან მთელი კოლონის შესახვედრათ და მიუძღვიან წინ მუშათა ორგანიზაციების მთელს კოლონას, რომელიც გაივლის ერევნის მოედანზე, რუსთაველის პრ., ვერის დაღმართს, კირკის ქ., ჩერქეზიშვილის ქ. და მივა სადგურის მოედანზე, საიდანაც საზეიმო კონცერტ-მიტინგის შემდეგ ყველანი დაიშლებიან.

ქალაქის მორთვა.

ამონაწერი ბრძანებიდან ქალ. თბილისისა და მისი რაიონების გარნიზონისადმი.

№ 47.

პირველ მაისის მომწყობი ცენტრალური კომისიის ბრძანების თანახმად, წინადადება ეძლევა ყველა სახლის პატრონებს, მდგმურებს, სახლის კომიტეტებს და ყველა საბჭოთა სახლების კომენდანტებს მიიღონ ყოველგვარი ზომა ქალაქის გასასუფთავებლად პირველ მაისისათვის:

განსაკუთრებით პლეხანოვის პრ., პუშკინის ქ., თავისუფლების მოედანი, სოლოლაკის ქ., შოთა რუსთაველის პროსპ., მაისის 26-ს ქუჩა უნდა შესაფერისად მოეწყოს და სრულიად გასუფთავდეს. გარნიზონის უფროსი მელნიკოვი. გარნიზონის სამხედრო კომისარი ლორიკინი. ქ. თბილისის და მისი რაიონების კომენდანტი აბაშიძე.

ავტომობილების მობილიზაცია—1 მაისისთვის.

1 მაისის დღის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ დაადგინა 1 მაისისთვის ქ. ტფილისში ყველა სატრანსპორტო მანქანების მობილიზაცია მოხდენის: ამით ცხადდება, რომ ამ დღისათვის დილიდან ღამის 12 საათამდე ყველა სატრანსპორტო საშუალებათა ავტომობილების, ეტლების და სხვა მობილიზაცია ხდება და გადაეცემათ ცენტრალურ კომისიის წარმომადგენლებს პირველ მათ მოთხოვნისთანავე, მანდატის წარდგენის შემდეგ. ეს განკარგულება არ ეხება საქართველოს რევკომის განკარგულებაში მყოფ ავტომობილებსა და იმ ავტომობილებს, რომელთაც სამხედრო დანიშნულება აქვთ.

საზეიმო წარმოდგენები თეატრებში.

1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ 1 მაისს ბილეთები საღამოს წარმოდგენებზე ყველა თეატრებში განაწილდება მხოლოდ მუშათა ორგანიზაციებსა და წითელ არმიელთა შორის. პროფეს. კავშირთა საბჭოს გადაეცა მუშათა შორის დასარიგებლად ბილეთების 50 პროც., წითელს არმიას, არმიის პოლიტიკურ განყოფილების საშუალებით 45 პროც. და საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთ 5 პროც.

ამ დღეს ყველა მუდმივი ბილეთები სახელმწიფო თეატრში გაუქმებულია. რჩება ძალაში ადგილები გარნიზონის უფროსისა, ქალაქის კომენდანტისა, კომენდანტის მორიგე ადიუტანტისა, მილიციის უფროსისა, მორიგე ექიმისა და ფერშლისა.

მაისის 1 ს, თბილისის ყველა თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები, შრომის იდეების გამარჯვების შესახებ. ამ დღეს დაიდგმება შემდეგი წარმოდგენები:

სახელმწიფო ოპერაში „შრომის ჰიმნი,“ (ოპერა ჰუგენოტებიდან.) ბალეტი, აპოთეოზი (შრომის ზეიმი).

სახელმწიფო დრამაში: „დღეს სხვა დროებაა“ „ოქროს კერპი“ (ქართულად) ბალეტი, **საკამერო თეატრში:** „არლეზიანი“ და **თბილისის საკრებულოში სომხური დრამა. თავისუფალ თეატრში** „წითელი ექიმი“ (სომხურათ).

ნამუსიკო კომედიაში „ჟან-რუჟ“, ბალეტი. **სახალხო სახლში** „მტრები“ **თფილისის საზაფხულო საკრებულოში.** მთავარ პოლიტ. განათლების განყოფილ წარმოდგენა. თეატრ „სატირ აგიტში“—რევოლიუციონური პროგრამმა. მოედანში „ბრძოლა თავისუფლებისათვის“ (თათრულ ენაზე)... მუშათა ცენტრალურ კლუბში „შურის მაძიებელი“, **ბალეტი. სომხურ კლუბში** „მოგზაურ პროლეტარების თეატრში. (ავჭალაში) პიესა „დიდი კომუნარი“. **ორთაჭალის თეატრში** რნაციონალური წარმოდგენა. ნაძალადევში წარმოდგენა ქართ ენაზე, ბალეტი. ავლაბარში „მემალარო“ (ქართ... ენაზე). **სომხური** წარმოდგენა **კონსერვატორიაში**—სიმფონიური კონცერტი **სახელმ. დრამის საკონცერტო** [illegible] ინტერნაციონალური კონცერტი [illegible] **მონ საზოგ. სკოლის** [illegible] რულ მუსიკის კონცერტი. ყველა თეატრებში ორკესტრი და გუნდები შეასრულებს „ინტერნაციონალს“, რომლის შემდეგაც გაიხსნება მიტინგი პირველი მაისის შესახებ.

მოგონებანი

ისტორიული მასალები

მუშათა კლასის პირველი მაისობა ჩვენში, როგორც მახსოვს, 1897 წელს 18 აპრილს პირველად რკინის გზის დეპოს სახელოსნოს 40 თუ 60 მუშამ კონსპირატიულათ, ნაძალადევის გორაკების უკან დიდის სიფრთხილით იდღესასწაულა.

ამ პატარა ჯგუფმა, გამართა ვითომ საუზმისთვის და საქეიფოდ კრება და რომ შავ ძალებს აშკარა ეჭვი არ მიეტანათ მუშების საყვარელ დღესასწაულზედ და არ შეენიშნათ წითელი დროშის აფრიალება, ამისთვის მაშინდელ მოწინავე მუშების ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა თვალის დასაჭერად ორ მხარეს დარაჯობა. ამხ. მუშების საუზმე გათავდა, მრავალი გრძნობიარე სიტყვებიც წარმოითქვა მუშებისაგან, მეტად გრძნობიარე და შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს მუშა მ. ბოჭორიშვილმა და რიაზ. ჩოლრიამ, რომელთაც აღნიშნეს სრულიად მკაფიოდ და მუშური ენით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისთვის პირველ მაისობას.

შემდეგ ამისა. თუმცა მკრთალათ და ფრთხილად, მარა მწყობრად რამოდენიმე მანძილი „მარსელიოზას“ სიმღერით გაიარეს. მათ ფიცი დასდვეს, რომ მომავალში უფრო კარგად და მრავალ რიცხოვან მუშებს მოეწყოთ პირველი მაისობა და მშვიდათ და წყნარად დაიშალენ.

და ეს ასეც ხდებოდა 1898 დან 1899 წლ. როდესაც უფრო მრავალ რიცხოვანი მუშები ესწრებოდენ პირველ მაისობას.

1901 წელს მართლაც, რომ უფრო კარგად იყო პირველი მაისი მოწყობილი, 1901 წელს 18 აპრილს მოიყარა თავი მრავალრიცხოვანმა მუშათა კრებამ ალექსანდრეს სახელობის ბაღის კუთხეში რომელსაც წინეთ ყაზახის ბაღს უწოდებდენ და ამ ბაღის კუთხის გასწვრივ ყაფლანიშვილის ქუჩას და ვახტანგის ქუჩის ჯვარედინ გზის თავს, ერთი მხრივ თავ მოყრილ მრავალრიცხოვანი, ჯოხებით შეიარაღებული მუშები და მეორეს მხრივ თოფ ხმალ-ხანჯლით პოლიციელ-ჟანდარმები და ყაზახები, ცხენებზე, გამოწყობილნი მათრახ ხელებით ხელში. ოთხი კუთხით ჩასაფრებული აქეთ-იქით და შიგ ბაღიდანაც, უთვალთვალებდნენ მუშების მოქმედებას სპეციალური „სიგნალით“ მუშათა ჯგუფში გამორჩეილდა ჯაგრის ჩოთქის ჯოხი, რომელზედაც უნდა აღგვემართა წითელი დროშა, ოქროს ასოებით წარწერილი და ოქროს მქედით მოვარაყებული. დროშა ჯერ არ ჩანდა. შემდეგ ამის საათმაც დაჰკრა და თითქმის ელვა ერთბაშათ შეჯგუფდა რამოდენიმე ათეული მუშა ბაღის კუთხეში და მასთან ერთად ამ პროცესის მომწყობი 4—5 მუშა სახელდობრ: მ. ბოჭორიშვილი ზ. ჩედრი. ა. ოქროშვილი, გიო თათანიშვილი, რომელთაც ჯოხი დროშისა მზად ჰქონდა და დროშა კი სხვა ამხანაგებმა სწრაფად ჩამოჰკიდეს ჩოთქს. მაგრამ სიჩქარის გამო ვერ გაამაგრეს და დროშაც ჩამოვარდა. ასე გამეორდა ორჯერ მაგრამ მესამეთ მაინც მოახერხეს, და ააფრიალეს ურას ძახილით და ჯოხების ჰაერში ქნევით და ყიჟინით. დროშას გაჰქონდა ჰაერში რამდენიმე წუთის ფრიალი, მაგრამ პოლიციის და ყაზახებმაც არ ქმინათ და დემონსტრანტების ყიჟინ-ყრიამულს ოთხივე კუთხიდან შემოერტყნენ ვიღაც პრისტავ გედევანოვის მეთაურობით და შეუდგნენ ამოღებულ ხმალ-თოფ-ხანჯალ მათრახებით მუშების ცემას, მაგრამ მუშები მაინც გმირულად იბრძოდენ და წინ მიიწევდენ. მაგრამ შეიარაღებულ პოლიციელებმა დასძლის უიარაღო მუშებს და რამდენიმეც დასჭრეს, თვით მედროშე თათანიშვილი ვერ დასცეს, მას დროშა ვერ წაართვეს და როცა ბევრი ცემით გასისხლიანებული დაეცა უგონოთ, მაშინ კი ჟანდარმებმა გამოსტაცეს დროშა და დაგლიჯეს ნაჭერ ნაჭრათ. მასთან ახლო მდგომი ერთი ათეული მუშაც დაიჭირეს და ციხისკენ გაისტუმრეს. და მასთან ყაზახების მათრახების ცემით დასისხლიანებული ცოცხალ მკვდარი 4 მუშა ჩაყარეს ეტლში და წაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. ესენი იყვნენ მედროშე გიორგი თათანაშვილი, ლ. მამალაძე, ვიგრიბინი და ერთიც თამბაქოს ქარხნის მუშა. ყველა ისინი რამოდენიმე თვის შემდეგ ოთხ-ოთხი წლით არხანგელის გუბერნიაში გადაასახლეს.

ეს იყო პირველი გადასახლება თბილისიდან პოლიტიკური მუშაკების.

ამით დამთავრდა პირველი მაისობა 1901 წელს, იქ სადაც აფრიალდა მისი წითელი დროშა. ჩვენი სამაისო პროცე-

სია უნდა მივიდეს მისი ოცი წლის სახსოვრათ, აქედანვე უნდა აფრიალდეს წითელი დროშა მუშათა მაისობისა, იქ, სადაც ვიდღესასწაულეთ ეს პირველი მაისი, ოცი წლის წინეთ მუშების სისხლით შეღებილი და ალექსანდრეს ბაღთან შევიდეთ ძმათა სასაფლაოზედ, სადაც მსხვერპლად შეეწირენ ათ თებერვალს მშვიდობიან მიტინგზე მენშევიკების მსხვერპლნი და სადაც განისვენებენ რევოლიუციისთვის თავდადებულნი ამხანაგები, ამ ბაღის არე მარე იყო ბრძოლის ველი და დასაწყისი მაისობისა და აქვე განისვენებენ დღევანდელ რევოლიუციის გმირები.

ძველი მუშა.

საუბარი ამხ. ერქომაიშვილთან

[illegible] სურსათო სახალხო კომისრის მოადგილემ, ამხ. ერქომაიშვილმა, რომელიც საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ამხ. მახარაძესთან ერთად მოიარა დასავლეთი საქართველო, გრუსტას თანამშრომელთან საუბრის დროს, განაცხადა: ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო არა მარტო ადგილობრივად საქმის მდგომარეობის და საბჭოთა აღმშენებლობის მსვლელობის გაცნობა, არამედ სოფლის სულიერი განწყობილების გაგებაც. ჩვენ მოვიარეთ ქუთაისი, ბათომი და გურიის თითქმის ყველა ქალაქებსა და დაბებში. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ორგანოები, როგორღაც მოწყვეტილნი არიან ცენტრს. ეს უმთავრესად აიხსნება რკინის გზების მოუწესრიგებელ მოძრაობით, რის გამოც შეუძლებელი იყო ადგილებთან რეგულიარული კავშირის დაჭერა. ამის შედეგი კი არის ის, რომ ადგილობრივად მომუშავე პასუხის მგებელი ამხანაგები ჯერ არ იცნობენ ცენტრის მიერ გადაწყვეტილ მთელ რიგს საკითხებს, მაგალითად საკითხს სახ. სას მეურნეობის აშენება მოწყობის შესახებ, აგრეთვე საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი წარმოება ექვემდებარება ნაციონალიზაციას. ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები ჯერ არ გასცნობიან სასურსათო ორგანოების სტრუქტურას და კიდევ სხვ. მაგრამ ამ გარემოებათა მიუხედავათ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამხანაგები ადგილობრივ ენერგიულად ეწევიან საბჭოთა აღმაშენებლობის საქმეს. საბჭოთა [illegible] და აგრეთვე საბჭოთა ორგანოების ორგანიზაციის ცხოვრებაში გატარების დროს, პასუხისმგებელი მუშაკნი შეეცადენ საბჭოთა ორგანოების შექმნის საკითხს საგუბერნიო საზომით. ეს საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა ქუთაისის გუბერნიის სამაზრო რევკომების წარმომადგენელთა თათბირს, რომელიც მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სასურველი არ არის ამ ორგანოების მოწყობა საგუბერნიო საზომით. შემდეგ თათბირმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ეს ორგანოები უნდა შეიქმნან მხოლოდ სამაზრო მასშტაბით, საქართველოს საგანგებო კომისიის გამონაკლისით, რომელიც იარსებებს საგუბერნიო საზომით.

შემდეგ ამხ. ერქომაიშვილმა, გაუზიარა რა მოსაუბრეს თავის შთაბეჭდილებანი სოფლის მცხოვრებთა სულიერ განწყობილების და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ, სთქვა:

— ეჭვს გარეშეა, რომ ქუთაისის, ბათომის და დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების მცხოვრებთა განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი საკეთილოა ამ უკანასკნელისათვის, ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მუშებში. კერძოთ ჩვენ გვაინტერესებდა მცხოვრებთა განწყობილება წითელ არმიისადმი და ამ უკანასკნელთა ყოფაქცევა და უნდა ვსთქვა, რომ მათ მოქმედებაზე არც ერთი საჩივარი არ მიგვიღია.

როგორც ვიცით, გურული გლეხობის სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ უკანასკნელის მისვლამდე, ხელოვნურად იყო შექმნილი მენშევიკური მთავრობის აგენტების მიერ. [illegible], იმის მიუხედავათაც კი, რომ მენშევიკ მუშაკთა მომეტებულმა ნაწილმა თავი შეაფარა გურიას, სადაც განაგრძობენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობას, მცხოვრებთა შეხედულება უცბათ შეიცვალა კომუნისტების სასარგებლოთ. ასე მაგალითად, მიტინგებზე მე არა ერთხელ მომისმენია გლეხების ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობათა შესახებ, იმაზე თუ რა მომავალს ჰპირდება გლეხებს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. გურიაში მიტინგები გაიმართა ოზურგეთისა, ნატანებსა, ლიხაურს, შემოქმედსა, ბახვს, ჩოხატაურს, სუფსაში და ლანჩხუთში. მიტინგებმა მოიზიდა აურებელი ხალხი, მაგალითად ჩოხატაურში, მიტინგის ადგილიდან ერთი ვერსის მანძილზედ ძნელი იყო ადამიანის გავლა—იმდენი ხალხი მოაწყდა.

ლანჩხუთში მიტინგს დაესწრო 8 ათასი კაცი. საერთო შთაბეჭდილება: კომუნისტური ძალა არის ადგილობრივი და არის იგი მცხოვრებთა მასაში. კომუნისტების ეს ძალა სამ კატეგორიათ ნაწილდება: შეიარაღებული კომუნისტები, მილიცია და შეკავშირებული გურული ნაწილები. უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში შეხიზნული მენშევიკების მეთაურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ გლეხობა მიემხრობა. იმათ წინ და წინ იცოდნენ ჩვენი მარშრუტი, სად და როდის გავჩერდებოდით და არას ზოგავდნენ მიტინგის ჩასაშლელად და ყველა ღონით სცდილობდნენ თავიანთი რეზოლიუციის გატარებას, მაგრამ ვერას გახდნენ. მიტინგზე ყველგან კომუნისტების რეზოლიუციას ერთხმათ იღებდნენ, წინააღმდეგ ხმა არავის მიუცია. ჩვენ მოგვიხდა აგრარულ საკითხთა შეხება. ერთ-ერთ მიტინგზე ჩვენ გავიგეთ, რომ არიან ისეთი მიწის პატრონები, რომელნიც მიწას სამესამედოთ აძლევენ დასამუშავებლად. გაარკვია რა ეს საკითხი ხალხის წინაშე ამხ. მახარაძემ, განუმარტა მცხოვრებთ მენშევიკურ რეფორმების მთელი ხასიათი. დასავლეთ საქართველოში სურსათის მდგომარეობის შესახებ ამხ. ერქომაიშვილმა სთქვა: დასავლეთ საქართველოში ყველგან სურსათი არის, ხოლო ზოგიერთ მაზრებში, როგორც ზუგდიდის, სენაკის და სხ. ჭარბათ არის. ადგილობრივ ამხანაგებს აწუხებს შემდეგი გარემოება: თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებამ გამოიწვია ადგილობრივ ბაზრებზე სპეკულიანტების ამოძრავება, რომელნიც ფასებს აძვირებენ. ამ მოვლენის მოსასპობათ ამხანაგები თხოულობენ გამოიცეს ისეთი წესები, რომელიც ვალდებულებათ გახდის მყიდველებს ჩაეწერონ ადგილობრივ და დაემორჩილონ ადგილობრივ ფასებს. როგორც ჩვენი აგენტები, აგრეთვე მუშათა ორგანიზაციის აგენტები ადგილობრივ უნდა ჩაეწერონ და ადგილობრივ სასურსათო ორგანოების კონტროლის ქვეშ დამზადონ სურსათი. ყველგან დასავ. საქართველოში გაიხსნა სასადილოები, სადაც სადილი ძალიან იაფ ფასებში ეძლევა მუშებს და მოსამსახურეებს. საერთოდ უნდა განვაცხადო, რომ შთაბეჭდილება მგზავრობიდან საუკეთესოა, რომელიც ბადებს რწმენას ცენტრის და პერიფერიების თანხმობით მუშაობის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

ბრძანება № 10. 26 აპრილი, 1921 წლ.

კომპარტიის ბრძანების თანახმად, განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმი ცერემონიალში არ გამოდის როგორც ცალკე რამ ერთეული, ყველა ამხანაგები მიიღებენ მსვლელობაში მონაწილეობას თავთავის პროფკავშირებთან ერთად. ის ამხანაგები კი, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო არ არიან პროფკავშირებში, დღესასწაულში მონაწილეობით გამოვლენ თავთავიანთ უბნებში. ამ რაიონების მდივნის განკარგულებით. § 2. ამ დღიდან ორი დღის ვადით, რაიონის გუნდის უფროსებმა უნდა წარადგინონ განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის შტაბში სრული სიები იმ ფორმის მიხედვით, რომელიც მიცემულია ამა წლის 12 აპრილის № 6 ბრძანებით.

ამ ბრძანების სათანადო დროზე შეუსრულებლობისათვის პარტიულ სასამართლოში მიეცემა ყველა ის ამხანაგები, რომელნიც არ შეასრულებენ ბრძანებას.

რ. ფ. ქ. მდივანი კანდელაკი. განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმის უფროსის მაგიერ კალანდაძე.

კომუნისტების კრება.

9 აპრილს შედგა ქ. თბილისის კომუნისტების საზოგადო კრება ამხ. [illegible] თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა ამხ. გასვიანის მოხსენება რუსეთსა და დასავლეთში ქალთა სოციალისტურ მოძრაობის წარმოშობისა, მისი განვითარებისა და ქართველ მუშა ქალების მიზან ამოცანების შესახებ. და ამხ. ოკუჯავას მოხსენება თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების მოღვაწეობის შესახებ. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, ქ. თბილისის კომუნისტი ქალები ცხადად ვგრძნობთ რა პროლეტარ ქალების ჩამორჩენას და მუშა-ქალების განყოფილების მნიშვნელობას, ვადგენთ მივესალმოთ ორგანიზაციულად მოწყობილ ქალთა განყოფილებას და ყოველი ღონის-ძიებით ხელი შევუწყოთ მის გეგმით განზომილ მუშაობის განვითარებას უპარტიო ქალთა მასსებს შორის და აგრეთვე დავეხმაროთ მას საქართველოს მშრომელ ქალთა პოლიტიკურად ჩამორჩენის ლიკვიდაციის საქმეში.

მუშათა ცხოვრება

1-ლი მაისისათვის

ლეპის და მთავარ სახელოსნოების რაიონული პროფ. კავშ. გამგეობამ თავისი—მორიგ სხდომაზედ დაადგინა, 1 მაისი არის მუშათა დღე, მისი დღესასწაული. ამ დღეს ყველა მუშები გამოდიან მანიფესტაციაზე და დღესასწაულობენ. თუ დღემდე ჩვენ ვერ ვღებულობდით ამ დიდმნიშვნელოვან დღესასწაულობაში მონაწილეობას ამის მიზეზი აშკარაა. მენშევიკურ მთავრობის დროს ამ დღეს ჩვენს ამხანაგებს სცემდენ და აპატიმრებდენ. შარშან 1-ლ მაისს იყო შემთხვევა, ცემის გამო გარდაიცვალა ორი ამხ. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს შხამიანი სული და არ მივმართავთ მათ წინააღმდეგ ასეთ ზომებს. პირველი მაისის დღესასწაულის გამო იმ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც არ არიან დაშვებული სამსახურში, ეპატიოს მუშათა დადგენილებით მათი დანაშაული და დაშვებულ იქნენ თავის ადგილებზე. მასთან მათ ეძლევათ წინადადება, რომ კრინტიც არ დასძრან საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს 1-ლ მაისს, გაუმარჯოს მე 3 ინტერნაციონალს. გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობას.

ნ. რუხაძე.

მუშების მდგომარეობა ელექტრონის სადგურებში.

ელექტრონზე მომუშავეთა რიცხვი, როგორც თვით სადგურებში აგრეთვე გარეთ მავთულებზე, სამას კაცს აღემატება, ამ დარგში მომუშავეთა პირობები სხვებთან შედარებით გაცილებით ძნელია და აუტანელი: განუწყვეტელი გრიალი მანქანების და ღვედების, მუდმივი კვამლი და ანტისანიტარული მდგომარეობა ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული. ყველა ამ უბედურებების მთავარი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: არც ერთი სადგურში დაცული არ არის ტეხნიკური პირობები მუშების სიცოცხლის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით არ არის შემოღობილი ის ადგილები, სადაც ღვედები ბრუნავენ, რადგან მანქანები ყველგან დაზიანებულია, მუშაობის დროს იყენებენ გარეთ დამუშავებულ ზეთს, მაზუთს, რომელიც ეცემა თუ არა გახურებულ მილებს, მაშინვე საძაგელ სუნს აყენებს და თუთხნის ყველაფერს. გამოდის გარეთ აგრეთვე კვამლი, რადგან მოძრავი ნაწილები გაცვეთილია და ვეღარ იკავებენ მას. ამავე მიზეზების გამო უხდებათ ყოველ დღე სხვა და სხვა მანქანის ნაწილების დაშლა, გაწმენდა და შეკეთება, რადგან ძირითად (კაპიტალურ) ან საშვალო შეკეთება თხოულობს რამოდენიმე თვით მანქანების შეჩერებას, რაც შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. დაუმატეთ ყველა ამას ის, რომ მუშაობა სწარმოებს განუწყვეტლივ (მორიგეობით), რომლის დროსაც დაჯდომაც კი არ შეიძლება, რათა არ ჩაეძინოთ და სხვ. ყველა ეს ჰქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ მუშა იძულებული ხდება ძარღვები დაიჭიმოს და ყოველ წუთს ფხიზლათ თვალყური ადევნოს, რათა რაიმე მარცხი არ შეემთხვეს. ზემოთ აღნიშნული არა ნორმალური პირობები ისეთ მავნე გავლენას ახდენს მათზე, რომ იშვიათად შეხვდებით ჯანსაღ მუშას ამ დარგში. ვინც კი ჩაუკვირდება მათ სახის გამომეტყველებას, მაშინვე მიხვდება, რომ ესენი შეპყრობილნი არიან ნერვების ავათმყოფობით.

აი ის ხვედრი, რომელიც განუყრელი მგზავრი არის მანქანებზე მომუშავეთა მუშებისა.

დღემდის არავის არ უზრუნავს და არ მიუქცევია ამ მდგომარეობისათვის ჯეროვანი ყურადღება.

თებერვლის რევოლიუციის დაწყებისთანავე მუშები ნამდვილ პროლეტარულ გზას დაადგნენ და განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდნენ, როგორც ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ, აგრეთვე პოლიტიკურ უფლებების მოსაპოვებლათ. მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, არამც თუ მარტო მესაკუთრეების მხრით, არამედ თვით მენშევიკურ მთავრობის მხრითაც, მათ მაინც ყველაზე პირველად შესძლეს კოლექტიური ხელშეკრულების გატარება ცხოვრებაში. მრავალი საყურადღებო მუხლები არის ამ ხელშეკრულებაში მოპოვებული, მაგ., წელიწადში ორ ჯერ სამუშაო ტანსაცმელი და ფეხ საცმელი, საპონი, უფასო წამლობა, სრული ჯამაგირის შენახვით, „მიღება და დათხოვა მუშების უსათუოდ კავშირის მიერ", და მრავალი სხვა: მართალია, ხელშეკრულება ორივე მხრით ხელმოწერილი იყო, მაგრამ ყოველივე ამ მონაპოვარის გატარება ცხოვრებაში არც ისეთი ადვილათ ხდებოდა, რისთვისაც მუშებს მრავალი ენერგია და ბრძოლა სჭირდებოდა მის განხორციელებისთვის. მიზეზი ამ განუწყვეტელი ბრძოლისა იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ დროს გამეფებული მენშევიკური პარტია და „დემოკრატიული მთავრობა" არამც თუ უწევდნენ რაიმე დახმარებას მუშებს, არამედ ხელსაც უშლიდნენ მრავალი მუხლების ცხოვრებაში გატარებას.

დღეს მუშების მდგომარეობა შეიცვალა. მათ აღარ სჭირიათ მრავალი ენერგიის დახარჯვა მესაკუთრეებთან საბრძოლველად. დღეს ეს ენერგია უნდა მოხმარდეს წარმოების აღორძინებას და გამანათლებელ კულტურულ მუშაობას. ეს მუშებს კარგათ აქვთ შეგნებული და, მიუხედავათ დროებითი ეკონომიური გაჭირვებისა, მაინც განაგრძობენ შრომის ფრონტზე მედგარ ბრძოლას. ამ ბრძოლის უფრო ნაყოფიერი წარმოებისათვის საჭიროა მათდამი დროზე და მეტი ყურადღება იქნეს მიქცეული სათანადო ორგანიზაციების მიერ და გაუმჯობესებული ყველა ის პირობები და მდგომარეობა, რომელნიც ზემოთ აღვნიშნე.

მუშ.—ოკინ.

პროვინციაში

ქ. დუშეთის ცხოვრება.

დუშეთი ძლიერ პატარა ქალაქი არის და მასთან კულტურულათ ჩამორჩენილიც: ამ ქალაქში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს, გარდა ყოფილი სახალხო გვარდიის თეატრის და ერთი საქალაქო სამკითხველოსი, ერთი კლუბიც ყოფილა წინათ, მაგრამ დაუნგრევიათ, რადგანაც ქალაქი ცალკე დაპატრონებია და ფედერალისტები ცალკე და, რადგანაც არც ერთ მხარეს არ დაუთმია, რომ კლუბი რომელიმე მათგანის განკარგულებაში გადასულიყო, მთლად უპატრონოთ დანგრეულა და მისი ინვენტარი გაუცარცვავთ. მხოლოთ გადარჩენილი არის რამოდენიმე დამტვრეული მაგიდა და სკამი და ერთი როიალი, რომელ როიალსაც დუშეთის ფედერალისტები საკუთრებათ იჩემებენ. დუშეთში არავითარი საწარმოვო დაწესებულება არ არსებობს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე ხარაზს დურგალს, მჭედელს, მეუნაგირეს და სხვა. ამ ქალაქში ყველაზე მეტი არის ვაჭრები—ეს ვაჭრები ერთნაირ შუამავლის როლს ასრულებენ. მოაქვთ თბილისიდან საქონელი და ყიდიან აქ ახლო მახლო მდებარე მცხოვრებლებზე არა ფულზე, არამედ მეტ წილათ ნატურაზე. პურზე, ყველზე, ერბოზე და სხვაზე. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, ამ მხრივაც უბედურ მდგომარეობაში არის ეს ქალაქი. დღემდის აქ მხოლოთ არსებობს პირველ დაწყებითი 2-კლასიანი სასწავლებელი, მორჩა და გათავდა. ამას შემდეგ ყველასათვის ცხადი იქნება თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს დუშეთი და მისი მაზრა სწავლა განათლების მხრით.

გ. ლაფანაშვილი.

ოზურგეთი.

ხალხი საერთოდ დაწყნარდა. იგრძნო დამდგარი თავისუფლება და სამუშაოს მოჰკიდა ხელი. თითქოს განგებ—ბუნებაც ხელს უწყობს-მშვენიერი ამინდებით.

ბოლშევიკების სახელის გაგონება აღარავის ჰგვრის შიშს. ყველა დარწმუნდა სინამდვილეში, რომ კომ-პარტია მართლა მუშათა და გლეხთა დამცველია და მის საკეთილ-დღეოთ ყოველ ღონეს ხმარობს, თუმცა, სოფლებში, მეტადრე ბახვში და ასკანაში, ხალხი კიდევ მოწამლულია—მაგრამ, ეს უნდა მიეწეროს, იმ გარემოებას, რომ იქ მოკალათებულია ყოფილი მთავრობის ვაჟბატონები რომლებიც კიდევ ელიან ჟორდანია—რამიშვილ-გოგუაძის შველას და ხალხს გულს უფუჭებენ. იქ ისინი ავრცელებენ სხვა და სხვა ჭორებს.

ზოგი ამბობს, ჟორდანიას გაგრაში გადმოუსხამს ჯარი. ადრე გვიშველისო, ზოგნი ამბობენ, ბაქო ინგლისელებს დაუპყრიათო და ათასი სხვა ამგვარ პროვოკაციას აქვს ადგილი.

მოწამლული მენშევიკები ოზურგეთშიც დაძრწიან დაძვრებიან; ხშირად მათ რევკომშიდაც ვხედავ, მეტადრე ა. წულაძეს, რომელმაც ბანკში პირველად გახსნილ კრებაზე ხალხში განაცხადა არაფერია, მარტში მოვიდენ ბოლშევიკები, ეს ცვალებადი თვეა—აპრილში ისევ ჩვენ ვიქნებითო. ის ბ. ა—ც აქ არის, რომელმაც რამიშვილს ნახევარი მილიონი შესწირა უკანასკნელ კრებაზე,—ოღონდ ბოლშევიკები აქ არ შემოუშვათო.

თუმცა ამბობენ, ა—ს უნდ[illegible] წერილების შემდეგ გაჰყოლოდა რამიშვილს პარიზში, მაგრამ ვე[illegible].

ისე საერთოდ, ცხოვრება ოზურგეთში ნორმალურად მიდის, ყოველი დაწესებულება თავის სიმაღლეზე სდგას. ეხლა გაიხსნა ქ. ოზურგეთში ახალი დაწესებულება „მუშათა და გლეხთა ინსპექცია" (კონტროლი), რომელიც კონტროლს გაუწევს ყოველივე დაწესებულებების მუშებს და ანგარიშს, რაც ხალხში დიდ სიხარულს იწვევს, ხალხში ხშირად გაიგონებთ—სანამ ფული არსებობს, ის ოხერი ყველას შეაცდენს და ამიტომაც ასეთი დაწესებულება აქ აუცილებელიაო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსამსახურეთა შტატი კარგად მომზადებული და სპეციალისტები არიან აყვანილი და გამგებლ. დუმბაძე და ა—ჯიშკარიანი პატიოსანი და მცოდნე პირებია. ამიტომაც ჩვენ ვუსურვებთ ამ ახალ დაწესებულებას გაამართლოს ხალხის იმედები და ინტერესი დაიცვას ეხლად აყვავებულ საბჭოთა საქართველოსი.

ამხ. ფილიპეს მოგზაურობას გურიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისმა მოხსენებებმა ალტაცებაში მოიყვანა და ძვირფასი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხში.

სამი წლის განმავლობაში ჟორდანიამ ერთიც ვერ გვნახა—ფილიპემ კი ყველა სოფელი შემოიარაო, და ჩვენს ჭირვარამს გაეცნოო, ამბობს ხალხი.

ეხლა ხალხს განსაკუთრებით ესაჭიროება დახმარება ნავთის და ფართლის მიწოდებით. ამ ორი საგნის ნაკლებობას ხალხი ძალიან განიცდის, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს ყურადღება.

შა—ლი.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლღის ქ. 20 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე 5-ეთ რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

ჯარში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საორგანიზაციო სამეულისაგან.

საქარ. ს. ს. რ. და მე XI არმიის მთავარი საგანმანათლებლო განყოფილებასთან არსებულ წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია, წერა კითხვის სალიკვიდაციო იდეის აგიტაციის გაწევის მიზნით, მუშათა და წითელ არმიელთა მასსათა შორის, მართავს „წერა-კითხვის უცოდინარ მუშების და წითელ არმიელის დღეს". ამის პრაქტიკულად განსახორციელებლად ა. წ. 4-ს მაისს, საღამოს 6 საათზე ადგილობრივ დროით, ზურგში მდგომ ნაწილების და მე XI არმიის დაწესებულებათა პოლიტიკურ განყოფილებების ბინაზე (სოლოლაკის ქ. № 7, ყოფ. პეტროგრადის საერთაშორისო ბანკის შენობაში) მოწვეულ იქნება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენელნი:

1. სახალხო განათლების კომისარიატის,
2. მე XI არმიის პოლიტიკურ განყოფილების,
3. სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის,
4. საქართველოს კომპარტიის ც-კომიტეტის,
5. კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის,
6. პროფ. კავშირების საბჭოსი,
7. ხელოვნების მუშაკთა კავშირის,
8. მასწავლებელთა კავშირის,
9. ს. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს,
10. რედაქციები: „პრავდა გრუზიი"-ს,
11. „ „კომუნისტი"-ს,
12. „ „წითელი ვარსკვლავი"-ს,
13. „ „წითელი მხედრის",
14. „ მე XI არმიის, ზურგში მდგომ ნაწილების პოლიტიკურ განყოფილების.

ვინაიდან გასარჩევი საკითხები ფრიად მნიშვნელოვანი და საჩქაროა, აღნიშნულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

საორგანიზაციო სამეული.

ჟურნალი „შრომის მოამბე"

გამოვიდა საქართველოს პროფ. საწარმოო კავშირთა საბჭოს ორგანო „შრომის მოამბე"-ს მე-2 ნომერი, შემდეგი შინაარსით:

1. წერილები:
   1. პირველი მაისი;
   2. მოსკოვი თუ ამსტერდამი;
   3. საწარმოო კავშირთა მორიგი საკითხები.
   4. როგორ შევქმნათ პროფ. კავშირებიდან საწარმოო კავშირები.
   5. ძველი და ახალი.
   6. ამქრობა საქართველოში.
2. საბჭოს პლენუმის 3 აპრილის სხდომის ანგარიში.
3. პროფ. კავშირები აფხაზეთში.
4. ქრონიკა.
5. პროფ. ცხოვრება საბჭოთა ქვეყნებში.
6. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა.
7. მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღე